წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1965592
გასაჩივრების წესი :	ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1965592

1. საკითხის შემდგომი განხილვის მიზნით წარმოსადგენია:
ა) საპროექტო ტერიტორიის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნულ ფოტოებზე დამუშავებული, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაწყობი გზის შესაბამისი ფოტომონტაჟი, ზუსტი ზომების დატანით.
ბ) გზის მოსაწყობად მხოლოდ მუნიციპალიტეტის გამოსაყენებელი ტერიტორიის შესაბამისი საკადასტრო-აზომვითი ნახაზის ელ-ვერსია (shape ფაილი) შესაბამის (WGS) საკოორდინატო სისტემაში.
გ) რეალური სიტუაციის შესაბამისი გენ.გეგმა(დამოწმებული შესაბამისი ულფებამოსილი პირის / ორგანიზაციის მიერ.), რომელზეც დატანილი იქნება არსებული ელ.ქსელის საყრდენი ბოძის ზუსტი ადგილმდებარეობა და საპროექტო გზა(ზუსტი გაბარიტული ზომების დატანით). თუკი იგეგმება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ელ.ქსელის საყრდენი ბოძის დემონტაჟი, წარმოსადგენია შპს "თბილსერვის ჯგუფის" წერილობითი პოზიცია საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით.
დ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ურბანული და ტრანსპორტის განვითარების სააგენტოსთან და ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული დროებითი მოძრაობის ორგანიზაციის სქემები(გზის მოწყობის სამუშაოების და დასრულებული ვარიანტები, საგზაო ნიშნების დატანით), ვინაიდან ქალაქ თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პოზიციით სამუშაოების წარმოება დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე საჭიროებს ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მოძრაობის უსაფრთხოების სქემის დამზადებას.
2. განაცხადის შევსების დროს, ხელახალ განხილვაზე გადმოგზავნამდე, ველში: ,,სამუშაოს ტიპი" ასარჩევია მხოლოდ ,,სხვა სამუშაოს წარმოება
3. ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად განმცხადებელს მიეცეს 20 (ოცი) დღის ვადა, ხოლო ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, განცხადება დარჩეს განუხილველი.

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის #13-42 დადგენილება

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გამარჯობათ. მოგახსენებთ რომ სქემა 16-0124136516 მოამზადა ჯორჯიან ვოტერ ენდ ფაუერ-მა მილის გასაყვანად, სადაც მილი გადის ჩვენს ტერიტორიაზე ს/კ 01.14.16.009.139. ეს სქემა მომზადდა 15/05/2024-ში.

ვინაიდან და რადგანაც ეს სქემა შეათანხმა ჯორჯიან ვოთერს ენდ ფაუერ-მა, მათ მიერ შეთანხმებულ საპატრულო პოლიციის სქემასთან წვდომა არ გვაქვს. ასევე მოგახსენებთ ამ ნაგებობას კავშირი არ აქვს კორექტირებასთან. გთხოვთ ჩვენი საკითხი განიხილოთ 16-0124136516 თანხმობის წერილის და სქემა საპატრულო თანხმობის გარეშე.

გენ გეგმაზე დატანილია ზომები, (კორექტირებისას არ შეცვლილა ტროტოარების და სავალი ნაწილის კომფიგურაცია და ზომა, იცვლება მხოლოდ შიდა გეგმარება)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0124136516**
თარიღი: **15/05/2024**

ადრესატი: შპს ეს თი ეს
საიდენტიფიკაციო ნომერი: 400234055
მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მერაბ კოსტავას ქუჩა, №60, სართული №1

შპს „ეს თი ეს“-ს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი, 2024 წლის 14 მაისის №01241352380-16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2024 წლის 14 მაისის №01241352380-16 განცხადება და შეთანხმდეს ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი , IV მ/რ, 36-ე კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.009.139) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შეთანხმებულია იმ პირობით, რომ სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით.

სააგენტოს მიერ აღნიშნული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა ითვლება შეთანხმებულად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში აღნიშნულ სამუშაოებზე თანხმობის მისაღებად შესაბამისი განცხადების წარდგენისა და ნებართვის მიღების შემთხვევაში.

სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის მიხედვით გათვალისწინებული საგზაო ნიშნები უნდა განთავსდეს მოძრავ დგარზე, რათა არ დაზიანდეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა. ამასთან, განსათავსებელი დროებითი საგზაო ნიშნები დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებისათვის საჭირო დროებითი და არსებული საგზაო ნიშნები ეწინააღმდეგება/ხელს უშლის ერთმანეთს, საჭიროა უკვე არსებული საგზაო ნიშნები შეიფუთოს, ხოლო სამუშაოს დასრულებისთანავე დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი (ყველა შეფუთული ნიშნის ჩათვლით) მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ თუ მშენებლობის პერიოდში, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ხორციელდება სხვა სამშენებლო სამუშაოები და დროებითი საგზაო ნიშნები, რომლებიც განთავსებულია სხვა, ნებართვის მქონე, შემსრულებელი კომპანიის მიერ და კვეთს/ეწინააღმდეგება თქვენს მიერ დასამონტაჟებელ საგზაო ნიშნებს, დროებითი საგზაო ნიშნები დაიტანოთ საჭიროებისამებრ და აუცილებლობის შემთხვევაში, სამუშაოები განახორციელოთ უკვე განთავსებული დროებითი საგზაო ნიშნების გამოყენებით. ხოლო, სხვა შემსრულებლის მიერ, სამუშაოების დასრულებისა და ნიშნების დემონტაჟის შემთხვევაში, უზრუნველყოთ თქვენი საგზაო ნიშნების სრულად მონტაჟი, მოცემული პირობების შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

ასევე გაცნობებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო იტოვებს უფლებამოსილებას, მოითხოვოს სამუშაოების პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ალტერნატიული ვარიანტის წარმოდგენა.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/L7L2HnR60B7gAzU

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო-უფროსის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

ქ. თბილისი ა. ბანძელაძის ქ. 01.14.16.009.139 მიმდებარედ საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა. (ეტაპი I) (წყლის მილის დაყრობის პერიოდში)

თარიღი 2024 წელი	მასშტაბი: პირობითი
დამკვეთი:	შ.პ.ს. "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"

შპს "STS"
(Smart Transportation Solutions)
ტელ: 577 15-55-75

შეასრულა: დაჩი გალდავაძე
ტელ:592-70-11-54
შეამოწმა: ნიკა სიდამონიძე
ტელ:598-77-88-48

სამუშაოები შესრულდება 10:00 სთ-დან 24 საათის მანძილზე, სამუშაოების დასრულების შემდგომ მოხსნილი იქნება სქემით გათვალისწინებული ყველა შეზღუდვა, რათა ავტომობილებმა და ქვეითებმა შეძლონ უსაფრთხოდ და შეუფერხებლად გადაადგილება.

50 მ
15 მ
6.1
3.1
6.5
15 მ
50 მ
50 მ

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

1.21.2- 1ც		5.19.1- 4ც	
1.21.3- 2ც		5.19.2- 4ც	
1.26- 5ც	500	8.1.3- 1ც	
2.5- 1ც	10	8.2.1- 2ც	
2.6- 1ც		ცომციმა- 2ც	
3.10- 2ც			
3.24- 4ც			
3.25- 1ც			
4.2.1- 1ც			
4.2.2- 1ც			

პირობითი აღნიშვნები

მედროშე 1ადამიანი

ქვეითთა მოძრაობის მიმართულება

ღობურა
სამუშაო ზონა
საპროექტო წყლის მილი

SMART TRANSPORTATION SOLUTIONS

საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

ქ. თბილისი ა. ბანძელაძის ქ. 01.14.16.009.139 მიმდებარედ საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა. (ეტაპი II) (წყლის მილის დაყრობების პერიოდში)

თარიღი 2024 წელი	მასშტაბი: პირობითი
დამკვეთი:	შ.პ.ს. "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"

შპს "STS"
(Smart Transportation Solutions)
ტელ: 577 15-55-75

შეასრულა: დაჩი გალდავაძე
ტელ:592-70-11-54
შეამოწმა: ნიკა სიდამონიძე
ტელ:598-77-88-48

სამუშაოები შესრულდება 10:00 სთ-დან 24 საათის მანძილზე, სამუშაოების დასრულების შემდგომ მოხსნილი იქნება სქემით გათვალისწინებული ყველა შეზღუდვა, რათა ავტომობილებმა და ქვეითებმა შეძლონ უსაფრთხოდ და შეუფერხებლად გადაადგილება.

50 მ
15 მ
3
15 მ
50 მ
50 მ

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

1.21.2- 2ც		5.19.1- 4ც	
1.21.3- 1ც		5.19.2- 4ც	
1.26- 5ც		8.1.3- 1ც	50მ
2.5- 1ც		8.2.1- 2ც	10
2.6- 1ც		ცომცომა- 2ც	
3.10- 2ც			
3.24- 4ც			
3.25- 1ც			
4.2.1- 1ც			
4.2.2- 1ც			

პირობითი აღნიშვნები

მედროშე 1ადამიანი

ქვეითთა მოძრაობის მიმართულება

ღობურა
სამუშაო ზონა
საპროექტო წყლის მილი

SMART TRANSPORTATION SOLUTIONS

ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IVმ/რ, არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.16.009.139) – ტრანსპორტის ზემოქმედების შეფასება



ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IVმ/რ, არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.16.009.139) – ტრანსპორტის ზემოქმედების შეფასება

შ.პ.ს XG
ს/კ 404392527
მის: ხოშტარია-ბარნოვის ქ.27/42ა
ტელ: 579747741

დირექტორი: გ.ფურცხვანიძე

შეასრულა: ნ. სესიაშვილი

სარჩევი

პროექტის ძირითადი მიზნები და ამოცანები 9
საკვლევი არეალი 9
არსებული სიტუაციის მიმოხილვა 10
ქვეითთა მოძრაობა 10
შემოთავაზებული მშენებლობის მიმოხილვა 12
გენერირებული/მიზიდული ნაკადები და სივრცითი განაწილება 13
გენერირებული ნაკადები 14
გენერირებული (სპროექტო) ნაკადების კალკულაცია - საზოგადოებრივი ტრანსპორტი 19
მიზიდული ნაკადები 22
საზოგადოებრივი ტრანსპორტის სპროგნოზო რეზერვები 27
გამოყენებული ლიტერატურა 28

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01203393064**
თარიღი: **04/12/2020**
პინი: **4482**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ადრესატი: გიორგი ფურცხვანიძე
პირადი ნომერი: 01017004573
მისამართი: თბილისი ა.ერისთავ-ხოშტარიას ქ. N 31/42ა ბ. 18

მოქალაქე გიორგი ფურცხვანიძეს

ბატონო გიორგი

2020 წლის 3 დეკემბრის თქვენი N19/01203381262-16 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IVმ/რ, არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.16.009.139) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისათვის სატრანსპორტო კვლევის არეალის განსაზღვრის მოთხოვნას, გაცნობებთ:

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის თანახმად, გარდა II კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას წარმოსადგენია:

1. საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა
2. ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება.

მოძრაობის ორგანიზების სქემა უნდა შეთანხმდეს სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციასთან. მოძრაობის ორგანიზების სქემის შესათანხმებლად სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარმოდგენილი უნდა იყოს სქემის ფერადი ეგზემპლარი და dwg ფორმატის სქემის ფაილი. სქემის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს არქიტექტურის სამსახურში შეტანილი განაცხადის ნომერი და საკადასტრო კოდი. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ საპროექტოდ გათვალისწინებული გზა ხვდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, უნდა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შუალედური პასუხი. სააგენტოში შეთანხმების შემდეგ სქემა უნდა შეთანხმდეს საპატრულო პოლიციასთან. ამის შემდეგ, შეთანხმებული სქემა უნდა აიტვირთოს სხვა დოკუმენტაციასთან ერთად არქიტექტურის სამსახურის ვებგვერდზე.

განმცხადებლის მიერ შესათანხმებლად წარმოდგენილ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემაზე გათვალისწინებული უნდა იყოს **2.5 მეტრი** სიგანის ტროტუარები.

ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კვლევა უნდა აიტვირთოს არქიტექტურის სამსახურის ვებგვერდზე, რის შემდგომაც გადაეგზავნება განსახილველად სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს. ასევე, უნდა აიტვირთოს კვლევის ერთიან დოკუმენტში წარმოდგენილი რუკების, სქემებისა და გაანგარიშებების სამუშაო მასალები:

- რუკა (.shp)
- სქემა (.dwg/.shp)
- ცხრილი და/ან დიაგრამა (.xlsx)

ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კომპონენტები და საკვლევი არეალები მოცემულია დანართის სახით.

აქვე გაცნობებთ, რომ სქემის შესათანხმებლად განმცხადებელს შეუძლია ისარგებლოს თვითმომსახურების პორტალით my.municipal.gov.ge, რომელიც წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ელექტრონული განცხადებების ერთობლიობას.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ეძლევა სახლიდან გაუსვლელად მიმართოს განცხადებით მუნიციპალიტეტს და ელექტრონულად მიიღოს პასუხი. ამისათვის საჭიროა თვითმომსახურების პორტალზე my.municipal.gov.ge აირჩიოთ რომელი სერვისის მიღება გსურთ.

განცხადების შემოტანა შეუძლია როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ პირს, შესაბამისი სარეგისტრაციო ფორმის შევსების საფუძველზე. სასურველი ელექტრონული განცხადების არჩევის შემდეს სისტემაში უნდა განთავსდეს მოთხოვნის ტექსტი. საჭიროების შემთხვევაში მიებას დანართი ფაილები და მოხდეს განაცხადის შექმნა. განმცხადებელი ვალდებულია პირადობის დამადასტურებელი (ID) ბარათით განახორციელოს განცხადებაზე ელექტრონული ხელმოწერა, რის შემდეგაც განცხადება გადაიგზავნება განსახილველად.

გადაგზავნის მომენტში, განმცხადებელს გაეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინება განაცხადის ნომრის მითითებით. როდესაც მუნიციპალიტეტში გადაგზავნილ განაცხადზე დასრულდება საქმის წარმოება, განმცხადებელი კვლავ მიიღებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას საქმისწარმოების დასრულების შესახებ, დოკუმენტის ნომრის და უნიკალური კოდის მითითებით. თვითმომსახურების პორტალზე my.municipal.gov.ge არსებულ ღილაკზე „პასუხის მოძებნა“ დაწკაპებით გაიხსნება ფანჯარა, სადაც განმცხადებელი შეიყვანს დოკუმენტის ნომერს და უნიკალურ კოდს, რის შემდეგაც სისტემაში გაიხსნება დოკუმენტი (PDF ფორმატით).

დანართი 1: 3 (სამი) ფურცელი;
დანართი 2: 1 (ერთი) ფურცელი;

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

	წინასაპროექტო კვლევა	საკვლევი ტერიტორია	განმარტება
1	**საკვლევი ტერიტორიის არსებული სატრანსპორტო მდგომარეობის შესწავლა**		
1.1.	საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია და საქვეითე მისაწვდომობა	*საპროექტო ტერიტორიიდან კ. კაპანელის ქუჩაზე არსებულ ავტობუსის უახლოეს გაჩერებებამდე მისასვლელი გზა, საქვეითე გადასასვლელების გათვალისწინებით.*	საქვეითე ინფრასქტრუქტურის შესწავლისას უნდა გამოვლინდეს საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში საზ. ტრანსპორტის გაჩერებამდე ***მისასვლელი მანძილი,*** საქვეითე გადასასვლელების გათვალისწინებით. ასევე საჭიროა ***საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია*** (უსაფრთხო და მოხერხებული გადაადგილების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა): ***ტროტუარის არსებობა, ბარიერები ტროტუარზე, უსაფრთხო საქვეითე გადასასვლელების არსებობა***. ინვენტარიზაციის საფუძველზე უნდა მოხდეს საპროექტო ტერიტორიის საქვეითე მისაწვდომობის ანალიზი. საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლა საჭიროა საპროექტო ტერიტორიამდე უსაფრთხო საქვეითე მისაწვდომობისათვის საჭირო მაკორექტირებელი ღონისძიებების დასადგენად. იმ შემთხვევაში, როდესაც განაშენიანება არ არის ფეხითმოსიარულეთათვის ადვილად მისაწვდომი, მაცხოვრებელთა/ვიზიტორთა მგზავრობები უმეტესად მანქანით ხორციელდება. ასევე მნიშვნელოვანია საზ. ტრანსპორტამდე უსაფრთხო წვდომის უზრუნველყოფა.
2	**ინფორმაცია პროექტზე**		
2.1.	საპროექტო ტერიტორიის სუფთა ფართობი ფუნქციების მიხედვით.		ეს მონაცემი საჭიროა საპროექტო ტერიტორიაზე მომავალი მაცხოვრებლების და ვიზიტორების დაახლოებითი რაოდენობის დასადგენად.
2.2.	საპროექტო ტერიტორიის პერსპექტივაში მაცხოვრებელთა და თანამშრომელთა/ვიზიტორთა რაოდენობა		ამ მონაცემის საფუძველზე დადგინდება ახალი გენერირებული/მიზიდული მგზავრობების რაოდენობა.
3.	**საპროექტო ტერიტორიის გენერირებული/მიზიდული (საპროგნოზო) მგზავრობები**		
3.1.	საპროექტო ტერიტორიაზე გენერირებული/მიზიდული მგზავრობების საერთო რაოდენობა		

3.2.	მგზავრობების სივრცითი განაწილება		ამ მონაცემით განისაზღვრება საზ. ტრანსპორტის რომელ მიმართულებაზე/ხაზებზე იქნება მომსახურების გაუმჯობესება საჭირო; სად იქნება საჭირო საფეხმავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. საპროგნოზო მგზავრობების სივრცითი განაწილების დადგენა უნდა მოხდეს ***შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის იმ მაკრო ან მიკრო ზონის მონაცემების საფუძველზე, რომელშიც მდებარეობს საპროექტო ტერიტორია.*** თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მონაცემთა ბაზა და ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://tbilisi.gov.ge/page/3218
4. საპროგნოზო გენერირებული/მიზიდული მგზავრობების ზეგავლენის შეფასება			
	• საქვეითე ინფრასტრუქტურაზე • საზოგადოებრივ ტრანსპორტზე		კვლევის წინა კომპონენტებიდან გამომდინარე საჭიროა დაგეგმილი განაშენიანების ზეგავლენის შეფასება ტრანსპორტზე და ტრანსპორტის ცალკეულ სახეობებზე.
5	**რეკომენდაციები**		ზეგავლენის შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ის ღონისძიებები, რაც საჭიროა დაგეგმილი განაშენიანების მომავალი მაცხოვრებლების და ვიზიტორების ტრანსპორტით უზურუნველყოფისა და მოდალურ განაწილებაში მანქანის როლის შესამცირებლად.
6	**გამოყენებული ლიტერატურა და სტანდარტები**		კვლევის ტექსტურ ნაწილში მითითებული უნდა იყოს კვლევისა და ანალიზისას გამოყენებული სტანდარტები და მეთოდოლოგია და შესაბამისი ლიტერატურა.

თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მონაცემთა ბაზა და ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

http://tbilisi.gov.ge/page/3218


დანართი 3. საგზაო ინფრასტრუქტურის კვლევის არეალი
477400
477600
477800
4620400
4620200
თევდორე მწატვრის I ჩ.
ლ. ასათიანის ქ.
ალ. ბანძელაძის ქ.
ვ. კაპანელის ქ.
ხომლის ქ.
პირობითი აღნიშვნები
საპროექტო ტერიტორია
ქუჩა
საკვლევი ქუჩა
სხვა გზები
შენობები
ჰიდროგრაფია
N
1:2500

პროექტის ძირითადი მიზნები და ამოცანები

ჩვენს მიერ შესრულებული სატრანსპორტო კვლევის მიზანია დადგინდეს ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მ/რ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 1.14.16.009.139) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მიზანშეწონილობა საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ქვეითთა მისაწვდომობის კუთხით.

კვლევის დასახული მიზნის მისაღწევად განვიხილავთ საპროექტო ტერიტორიიდან ნუცუბიძის ქუჩაზე არსებულ ავტობუსის უახლოეს გაჩერებებამდე მისასვლელ გზას და საქვეითე ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას.

საკვლევი არეალი

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მ/რ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 1.14.16.009.139). მისი ფართობი შეადგენს 2000 კვ.მ.-ს.



ილუსტრაცია # 1

არსებული სიტუაციის მიმოხილვა

ქვეითთა მოძრაობა

ქვეითთა მოძრაობის შესწავლისას განვიხილავთ საპროექტო ტერიტორიიდან კ.კაპანელის ქუჩაზე არსებულ ავტობუსის უახლოეს გაჩერებებამდე მათ გადაადგილებას.



ილუსტრაცია # 2

საქვეითე ინფრასტრუქტურის კუთხით პრობლემები გვხვდება საკვლევი არეალის უდიდეს ნაწილზე. როგორც საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაციის რუკაზეა გამოსახული, (ილუსტრაცია # 3) საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მოსაწყობიაა გზის საფარი, ასევე მოსაწყობია ტროტუარები ქვეითის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის.



ილუსტრაცია # 3

შემოთავაზებული მშენებლობის მიმოხილვა



ილუსტრაცია # 4

დასახელება	რაოდენობა	განზომილება
მიწის ნაკვეთის ფართობი	**2000**	მ²
საცხოვრებელი ფართობი	**8602.67**	მ²
კომერციული ფართობი	**212.98**	მ²
საოფისე ფართობი	**934.86**	მ²

ცხრილი N 1. ფართების განაწილება

გენერირებული/მიზიდული ნაკადები და სივრცითი განაწილება



ილუსტრაცია # 5

გადაადგილებების სივრცითი და მათემატიკური ანალიზის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიქმნა სატრანსპორტო ნაკადების განაწილების რუკა სამიზნე მაკრო ზონების მიხედვით, რომელიც მთელ ქალაქზე განზოგადდება არსებული სატრანსპორტო ნაკადების გათვალისწინებით.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებიდან გამოყვანილი კოეფიციენტების მიხედვით მოხდა ჩვენს მიერ დათვლილი სატრანსპორტო ნაკადების პროპორციული გადანაწილება იმ კვანძებზეც, რომლების ანალიზიც მოთხოვნილია დავალების სახით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

გენერირებული ნაკადები

დასახელება	რაოდენობა
გამოკითხული შინამეურნეობა	122
გამოკითხული ადამიანები	417
ყველა სახის გადაადგილება	568
გამოკითხულ შინამეურნეობათა მფლობელობაში არსებული მოტორიზებული სატრანსპორტო საშუალებები	92
ავტომობილიზაციის კოეფიციენტი მაკრო ზონისტვის	0.75
გადაადგილებები	
ავტომობილის მძღოლი	137
ავტომობილის მგზავრი	99
ტაქსით	13
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	214
ქვეითი	86
სხვა გადაადგილება	19

ცხრილი N 2

იმის გასარკვევად, თუ რა სახის ტრანსპორტით გადაადგილება ჭარბობს აღნიშნული მიკრო ზონებიდან, მოხდა მათი მოდალური განაწილება გადაადგილების საშუალებების მიხედვით:



ილუსტრაცია # 6

აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოხდა მოტორიზებული სატრანსპორტო კერძო საშუალებებით გადაადგილების ანალიზი გეოსაინფორმაციო საშუალებების გამოყენებით, რათა მომხდარიყო მათი სივრცული აღქმა/განაწილება.

საკვლევი ზონიდან ყველა მიმართულებით კერძო ტრანსპორტით გადაადგილებების რიცხვი შეადგენს 249-ს, რაც მთლიანი გადაადგილებების 43%-ა. შემდგომ ილუსტრაციაში მოცემულია საკვლევი ზონის შიგნით(N48) ზონის შიგნით არსებული გადაადგილებების მოდალური განაწილება.



ილუსტრაცია # 7

რუკაზე გამოსახულია ავტომობილით გადაადგილებების სივრცითი განაწილება რაოდენობის მიხედვით სამიზნე ზონებში. უნდა აღინიშნოს, რომ ავტომობილებით გადაადგილების სრული რაოდენობის 17.7% ხორციელდება თვითონ საკვლევი მაკრო ზონის შიგნით. საკვლევი ზონის შიგნით ასევე პოპულარულია ფეხით სიარულიც(41%).



ილუსტრაცია # 8

შემდგომ ეტაპზე მოხდა საკვლევი მიკროზონებიდან გენერირებული გადაადგილებების კვლევა მოტივის მიხედვით. ილუსტრაციაზე მოცემულია გადანაწილების პროცენტული მაჩვენებლები გადაადგილების მოტივის მიხედვით:



ილუსტრაცია # 9



ცხრილი N 3

გენერირებული (საპროექტო) ნაკადების კალკულაცია – საზოგადოებრივი ტრანსპორტი



ილუსტრაცია # 10

რუკაზე გამოსახულია საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილებების ინტენსივობა ფერების გრადაციით.

მომდევნო ცხრილში მოცემულია გენერირებული ადამიანების რაოდენობების ანგარიშები ფართობის ტიპის მიხედვით:

	ფართი (მ²)	კოეფიციენტი[1]	ადამიანების რაოდენობა	კოეფიციენტი[2]	გადაადგილებების სრული რაოდენობა
საცხოვრებელი	8602.67	18.6	463	1.56	722
საოფისე	934.86	9.3	101	2	202

ცხრილიN 4 მიზიდული გადაადგილებები (შინამეურნეობების კვლევა)

საცხოვრებელ ფართზე გამოყვანილი სავარაუდო მაცხოვრებლების რაოდენობიდან(463) შეგვიძლია ვიანგარიშოთ დღიური სავარაუდო გადაადგილებების რაოდენობა:

[1] კოეფიციენტი აღებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება N 41-დან (2016 წლის 28 იანვარი ქ. თბილისი, დაკავებულობა)

[2] ადამიანების გამოთვლილი რაოდენობის მიერ შესრულებული სრული დღიური გადაადგილებების კოეფიციენტი (შინამეურნეობების გადაადგილებების კვლევა (SYSTRA, 2016))

[3] 1.56 - დღიური გადაადგილების მაჩვენებელი თბილისის საშუალო მაცხოვრებლისთვის (შინამეურნეობების გადაადგილებების კვლევა (SYSTRA, 2016))

$$\text{დღიური გადაადგილება} = 463 * 1.56^{3} = 722$$

$$\text{დილის პიკის საათი} = 722 * 30\%^{4} = 217$$

შინამეურნეობების მობილობის კვლევის ანალიზისას ვარკვევთ დილის პიკის საათში შესრულებულ გადაადგილებების მოდალურ განაწილებას:



ილუსტრაცია # 11

	გენერირებული გადაადგილება დილის პიკის საათში	კოეფიციენტი	გადაადგილების რაოდენობა
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	217	0.38	83
ქვეითი	217	0.10	22
ავტომობილის მგზავრი	217	0.24	52
ავტომობილის მძღოლი	217	0.26	56
ტაქსის მგზავრი	217	0.01	2
სხვა	217	0.01	2

ცხრილი N 5 დილის პიკის საათში საცხოვრებელი ფარტიან გენერირებული გადაადგილებები

[4] 30% -დილის პიკის საათის გენერირებული გადაადგილებების წილი (შინამეურნეობების გადაადგილებების კვლევა (SYSTRA, 2016))

შემდეგ დიაგრამაზე ნაჩვენებია საღამოს პიკის საათში საოფისე ფართიდან გენერირებული ადამიანების მოდალური განაწილება გდაადგილების საშუალებების მიხედვით:



ილუსტრაცია # 11

	გენერირებული გადაადგილება საღამოს პიკის საათში	კოეფიციენტი	გადაადგილების რაოდენობა
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	101	0.42	42
ქვეითი	101	0.04	4
ავტომობილის მგზავრი	101	0.04	4
ავტომობილის მძღოლი	101	0.50	51

ცხრილი N 6 საღამოს პიკის საათში გენერირებულიუ გადაადგილებები ოფისიდან

მიზიდული ნაკადები

საკვლევ მიკროზონებში მიზიდული ნაკადების შემთხვევაში გადაადგილებების რაოდენობა ყველა სხვა ზონიდან შეადგენს 561- ს.



ილუსტრაცია # 12



ილუსტრაცია # 13



ილუსტრაცია # 14

შემდგომ დიაგრამაზე მოცემულია დილის პიკის საათში საოფისე ფართში მიზიდული თანამშრომლების გადაადგილების მოდალური განაწილება.



ილუსტრაცია # 15

	მიზიდული გადაადგილება დილის პიკის საათში	კოეფიციენტი	გადაადგილების რაოდენობა
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	101	0.40	40
ქვეითი	101	0.13	13
ავტომობილის მგზავრი	101	0.03	3
ავტომობილის მძღოლი	101	0.40	40
სხვა	101	0.05	5

ცხრილი N 7 დილის პიკის საათში მოზიდული გადაადგილებეი ოფისში

$$\text{საღამოს პიკის საათი} = 722 * 22\%^{5} = 159$$



ილუსტრაცია # 16

	მიზიდული გადაადგილება საღამოს პიკის საათში	კოეფიციენტი	გადაადგილების რაოდენობა
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	159	0.40	64
ქვეითი	159	0.07	11
ავტომობილის მგზავრი	159	0.23	37
ავტომობილის მძღოლი	159	0.26	41
ტაქსის მგზავრი	159	0.03	5

ცხრილი N8 ემატება საღამოს საცხოვრებელში მომსვლელებს

[5] 22% -საღამოს პიკის საათის მოზიდული გადაადგილებების წილი (შინამეურნეობების გადაადგილებების კვლევა (SYSTRA, 2016))

საზოგადოებრივი ტრანსპორტის საპროგნოზო რეზერვები

თუ შევაჯამებთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეზერვების ანალიზსა(თავი: „რეზერვების ანალიზი“) და ზემოაღნიშნულ ანგარიშებს, უხეშად შეგვიძლია გამოვიყვანოთ მგზავრთგადაყვანის არსებული და მოსალოდნელი რეზერვი. აღსანიშნავია, რომ მოზიდული და გენერირებული მგზავრები ავტობუსის გაჩერებებზე დამატებულია შესაბამის ორივე

მიმართულებაზე. აღსანიშნავია საკვლევ ტერიტორიასთან მეტროს სადგურების სიახლოვე, რაც გასათვალისწინებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტით შესრულებული გადაადგილებეების პროცენტულ გადანაწილებაში:



გამოყენებული ლიტერატურა

- თბილისის მდგრადი ურბანული ტრანსპორტის სტრატეგია, დეკემბერი 2015 ჟან-მანუელ ჟილი - ინდივიდუალური კონსლულტანტი
- შინამეურნეობების გადაადგილებების კვლევა (SYSTRA, 2016)